

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის  
N3 ბინაზე, მოქალაქე ემზარ გურულისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მოქალაქე ემზარ გურულის წარმომადგენლის დავით რუხაძის განცხადება /2011 წლის 16.12 Nრ-9902/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N3 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ემზარ გურულის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ემზარ გურულს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარუშია/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N48 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე /საერთო ფართობი 43,87 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 24,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 19,87 კვ.მ./ მოქალაქე ემზარ გურულის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე